მოკლე ბიოგრაფია

შოთა ალექსის ძე ვეშაპიძე – დაიბადა საქართველოში, საგარეჯოს რაიონის (ამჟამად მუნიციპალიტეტი) სოფელ კაკაბეთში, 1954 წლის 20 სექტემბერს.

1977 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია.

შოთა ვეშაპიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაამთავრა ასპირანტურა, პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით. 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 2000 წლის 16 თებერვალს სადოქტორო დისერტაცია. 2002 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

შოთა ვეშაპიძე 1977–1984 წლებში მუშაობდა თბილისის სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმში, მასწავლებლად. 1985-1987 წლებში იყო "ტექინფორმის" ეკონომიკური განათლების სექტორის გამგე, 1993 წლიდან თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის (2007 წლიდან ევროპული უნივერსიტეტი) კათედრის გამგე, პროფესორი, პრორექტორი, რექტორი (2001–2010). 2007 წლიდან - 2018 წლამდე იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. პარალელურად 2011 წლიდან – 2018 წლამდე, კონკურსის წესით იკავებდა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორის აკადემიურ თანამდებობას.

შოთა ვეშაპიძე 2001 წლიდან, 2018 წლამდე იყო – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის მოწვეული პროფესორი - სპეციალისტი, ხოლო 2018 წლიდან - არის ასოცირებული პროფესორი.

შოთა ვეშაპიძე არის ჟურნალების – „ახალი ეკონომისტი," „ბიზნეს ინჟინერინგი," სარედაქციო კოლეგიის წევრი.

შოთა ვეშაპიძე არის 200–მდე სამეცნიერო ნაშრომის და პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი, გამოქვეყნებული აქვს 8 მონოგრაფია, მათ შორის 2 საზღვარგარეთ. აღსანიშნავია მონოგაფიები: 1. „კაცობრიული ღირებულებები ეკონომიკური ხედვით," 2018, გამომცემლობა "Smarty," თბილისი. ISBN 978-9941-8-0181-5; 2. *The Modern Economy and Values*, 2022, (გ. ზოიძესთან თანაავტორობით). Cambridge Scholars Publishing. ISBN (10): 1-5275-8915-3 ISBN (13): 978-1-5275-8915-5. 3. „საქართველოს თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები," (მონოგრაფია, შოთა ვეშაპიძის საერთო რედაქციით), 2024, გამომცემლობა "Smarty," თბილისი. ISBN 978-9941-8-6190-1; 4. "საქართველოს ევროინტეგრაციული პერსპექტივა," (მონოგრაფია, შოთა ვეშაპიძის საერთო რედაქციით), 2025, გამომცემლობა "Smarty," თბილისი. ISBN 978-9941-8-7529-8; და სხვ.

შოთა ვეშაპიძეს 2015–2023 წლებში მომზადებული და გამოცემული აქვს ელექტრონული სალექციო კურსები, მასალები და რიდერები, მათ შორის: 1. „ლოჯისტიკა," 2015. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/486928/1/Lojistika_2015.pdf; ISBN 978-9941-0-7674-9 (PDF); 2. „საერთაშორისო ეკონომიკა," 2018 (დ. სეხნიაშვილთან თანაავტორობით). გამომცემლობა "Smarty," თბილისი. ISBN 978-9941-8-0182-2; 3. „გეოეკონომიკა," 2021, (თანაავტორობით). https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/sep/readers/bakhtadze-geoekonomika-reader.pdf; 4. „საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია," 2021, (თანაავტორობით). https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/sep/readers/bakhtadze-saertashoriso-ekonomikuri-integracia-reader.pdf; 5. „მსოფლიო ეკონომიკა", 2023.

https://digitallibrary.tsu.ge/book/2024/Jan/journals/veshapadze-msoflio-ekonomika.pdf; 6. „ლიბერალური ეკონომიკის თეორია, 2023, თბილისი. https://digitallibrary.tsu.ge/book/2024/Feb/journals/veshapidze-liberaluri-rideri.pdf; 7. „ქართული ეკონომიკური აზრის ისტორია,“ 2023, თბილისი. https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/Dec/books/veshapidze-qartuli-rideri.pdf.

შოთა ვეშაპიძე არის სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე. მისი კვლევითი ინტერესის სფეროა ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის, ქართული ეკონომიკური აზრის ისტორია, ეკონომიკური უსაფრთხოების, გლობალიზაციის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, მსოფლიო ეკონომიკის პრობლემები.

შოთა ვეშაპიძის მნიშვნელოვანი სტატიები:

1. Veshapidze, S. (2022). Ilia Chavchavadze on the Methodological Aspects of Economic Processes Research and Modernity. ილია ჭავჭავაძე ეკონომიკური პროცესების კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტებისა და თანამედროვეობის შესახებ. In Conference: VII International Scientific Conference. At: Tbilisi, Georgia. P. 164-173;

2. ვეშაპიძე შ. (2023). საქართველოს საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე პრიორიტეტები “ეკონომისტი”, “Ekonomisti” #3, გვ. 85– 99.

3. ვეშაპიძე შ. (2024). უსაფრთხოების ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტი ეკონომიკურ მოძღვრებათა კონტექსტში “ეკონომისტი”, “Ekonomisti” #4, გვ. 47–58.

4. ვეშაპიძე შ. (2025). ღირებულებები და ფასეულობები ილია ჭავჭავაძის შეხედულებებში: ინტერპრეტაცია თანამედროვე ეკონომიკურ კონტექსტში. ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, N2 (77), 2025, VOL.20, ISSUE 2.გვ. 25–40. DOI suffix: 10.36962/NEC20022025-25.

შოთა ვეშაპიძე კითხულობს სალექციო კურსებს სწავლების სამივე საფეხურის სტუდენტებთან:

ბაკალავრიატში – „ეკონომიკური აზრის ისტორია,“ „საერთაშორისო ეკონომიკა 1,“ „საერთაშორისო ეკონომიკა 2,“ „საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია;“

მაგისტრატურაში –„კვლევის მეთოდები ეკონომიკაში,“ „ქართული ეკონომიკური აზრის ისტორია,“ „გეოეკონომიკა;“

დოქტორანტურაში – „კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში.“

შოთა ვეშაპიძე ფლობს რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებს.

ხელმოწერა: შ. ვეშაპიძე

თარიღი: 21. 07. 2025.